

იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ასპექტები საგადასახლო და სხვა დანაშაულთა სფეროში

ირაკლი გაბისონია — სტუ-ს პროფესორი,
სამართლის დეპარტამენტის უფროსი,

სამართლის დოქტორი

ირაკლი მინაშვილი — სტუ-ს უფროსი მასწავლებელი,
სამართლის მაგისტრი

რეზიუმე

შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პირის დასჯადობის ბუნება ერთ-ერთი სადავო საკითხია, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ევროპულ სივრცეში. ის ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში განხილვის საგანს წარმოადგენდა, კერძოდ შეუძლია იურიდიულ პირს თუ არა ჩაიდინოს ისეთი სოციალური აქტი, როგორიცაა დანაშაული, რაც თავის თავში გულისხმობს არამარტო ბიუქტურ საქციელს, არამედ სუბიექტურ, ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც, რომელიც მხოლოდ ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა, მიუხედავად ამისა, არაერთმა ცივილურმა სახელმწიფომ, აღიარა იურიდიული პირი, როგორც სისხლის სამართლის სუბიექტი ამა თუ იმ დანაშაულებზე.

Summary

Nowadays we can say nature of commitment legal person is disputable issue, not only in Georgia even in European area. In the beginning of twenty century it was subject of discussion. In particular, whether the legal entity is able to commit a social act, such is crime which in head means objective crime but also subjective, psychological aspects, which is human's natural habit. Nevertheless in many civilized countries legal entity was recognized as the subject of a criminal offenses.

ისევე როგორც მსოფლიოში, საქართველოშიც ნათელია რომ თანამედროვე ორგანიზებული საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია გადასახადების გარეშე. ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და მასში საზოგადოების დიდი ნაწილის ჩართვა პირდაპირ პროპორციულია, რაც ფისკალური პოლიტიკის გამტარებლებს აიძულებს, მაქსიმალურად გაა-

მარტივონ თამაშის წესები, რათა ხელი არ შეეშალოს ბიზნესის განვითარებას. თუმცა საგადასახადო პროცედურების გამარტივება ნოვიერ ნიადაგს უქმნის უკანონო გამდიდრების მოსურნებს გადასახადებისაგან თავის არიდებისთვის. ეს კი რთულ მდგომარეობაში აყენებს გადასახადების ამკრეფებს, ვინაიდან, ერთი მხრივ, ისინი ვალდებული არიან, დააკმაყოფილონ საზოგადოების სულ უფრო მზარდი მოთხოვნები, ხოლო მეორე მხრივ – შეამცირონ გადასახადების დამალვის რისკები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა, (2006 წლის აგვისტოს კანონით) სხვა არაერთ სახელმწიფოს მსგავსად განიცადა ცვლილება, თუკი ადრე სისხლის სამართლის სუბიექტად მოიაზრებოდა მხოლოდ ფიზიკური პირი, ამ დროიდან მას იურიდიული პირიც დაემატა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იურიდიულ პირსაც შეუძლია ჩაიდინოს დანაშაული და შესაბამისად მასზეც გავრცელდეს სასჯელი.

შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პირის დასჯადობის ბუნება ერთ-ერთი სადავო საკითხია, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ევროპულ სივრცეში. ის ჯერკიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში განხილვის საგანს წარმოადგენდა, კერძოდ შეუძლია იურიდიულ პირს თუ არა ჩაიდინოს ისეთი სოციალური აქტი, როგორიცაა დანაშაული, რაც თავის თავში გულისხმობს არამარტო ბიუქტურ საქციელს, არამედ სუბიექტურ, ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც, რომელიც მხოლოდ ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა, მიუხედავად ამისა, არაერთმა ცივილურმა სახელმწიფომ, აღიარა იურიდიული პირი, როგორც სისხლის სამართლის სუბიექტი ამა თუ იმ დანაშაულებზე.

გამოთქმა „იურიდიული პირი“ გერმანული წარმოშობისაა და პირველად გამოიყენა გუსტავ ჰუგომ. როგორც ჩანს ეს ტერმინი სწორედ მისი დამკვიდრებულია. პირი შეიძლება იყოს იურიდიულიც – რამდენიმე ადამიანი, რომლე-

ბიც სამართლებრივი გაგებით მიიჩნევა ერთ კონკრეტული დინდივიდად.

ჩვენს ქვეყანაში, აღნიშნული ცვლილება, მიუხედავად სხვა ქვეყნების გამოცდილებისა, მანც დამაპნეველ საკითხს წარმოადგენს, რადგანაც ამის გამოცდილება საქართველოში არასოდეს ყოფილა, მით უფრო მას შემდეგ გახდა წარმოუდგენელი, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი გერმანულ მოდელზე იქნა აგებული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გერმანის სისხლის სამართალი არ იცნობს იურიდიული პირის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, ამასთანავე ჩვენს ქვეყანაშიც მკაცრად იყო დაცული ინდივიდულური პასუხისმგებლობის პრინციპი, ანუ ყველა ადამიანი პასუხს აგებს მხოლოდ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ქართული სისხლის სამართალი აღიარებს ინდივიდუალური შერაცხვის პრინციპს, ანუ მარტივად რომ ითქვას ერთი ადამიანი არასოდეს არ აგებს პასუხს მეორე ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, რა ორგანიზებული ერთიანობა ან მყარიურთიერთობა არუნდა აკავშირებდეთ ერთმანეთთან, მაგრამ იურიდიული პირის დანაშაულის სუბიექტად აღიარებამ მიგვიყვანა იმ აუცილებლობამდე, რომ აქამდე აბსოლუტური პრინციპი, რაღაც მაშტაბით შეკვეცილიყო, კონკრეტული პირის ქმედების გამო პასუხს აგებს იურიდიული პირი, ესეიგი ერთი ქმედება გამოიწვევს კონკრეტული იურიდიული პირისათვის სასჯელის დაკისრებას, მასში მომუშავე პირების დასჯას.

ამჟამად ჩვენი კვლევის მიზანი არ არის სრულყოფილად წარმოვაჩინოთ იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა და ამასთან ერთად გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებაში. ამის გაკეთება კი უბრალოდ შეუძლებელია, თუ ზოგადად მაინც არ მიმოვინდავთ იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასპექტებს, ცალკეულ საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში.

იურიდიული პირისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების სამშობლოდ საერთო სამართლის ქვეყნები ითვლებიან, სადაც იურიდიული პირი სამართლის სუბიექტს წარმოადგენს, ინგლისური სამართლის თანახმად დანაშაულებრივი ქმედება იურიდიული პირის მიერა ჩადენილადა მიჩნეული, თუ ის განხორციელდა უშუალოდ ამ ორგანიზაციაში მომუშავე ფიზიკური პირის მიერ,

ან შედეგი გამოწვეული იყო ისეთივე პირის უმოქმედობით; ამასთან, კორპორაციის საქმიანობა შეიძლება განსხვავებული იყოს, მასში მომუშავე ფიზიკური პირის სუბიექტური ქცევისაგან, ამავე დროსიურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს კონკრეტული ფიზიკური პირების პასუხისმგებლობას მსგავსი ქმედებისათვის.

ამერეკის შეერთებული შტატების სისხლის სამართალი დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ინგლისური საერთო სამართლის სისტემის საფუძველზე, სწორედ ინგლისური სისხლის სამართლიდან გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში იურიდიულ პირთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, სადაც იურიდიული პირებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი რეგულირდება როგორც ფედერალური, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, სისხლისამარტლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კორპორაციებს, არაკორპორაციულ გაერთიერნებებს და პირებს, რომლებიც მოქმედებან ან ვალდებული არიან იმოქმედონ აღნიშნული ორგანიზაციების სასარგებლოდ.

უნდა აღინიშნოს ისიც, იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, მოყოლებული 1849 წლიდან, მრავალჯერ დაასაბუთა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც შეიმუშავა კიდეც შერაცხვის პრინციპები, რომლის თანახმადაც ცორპორაციამ შეიძლება პასუხი აგოს თავისი აგენტის ქმედებისათვისთუ ის ჩადენილია აგენტის სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში და კორპორაციის ინტერესებისათვის თუ ის ჩადენილია აგეტის სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში და კორპორაციის ინტერესებისათვის, რადგანაც კორპორაცია შეიძლება მოქმედებდეს მისი აგენტის ან მისი მმართველი პირების მიერ.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ აშშ-ს სასამართლოები კორპორაციის პასუხისმგებლობას მაშინაც აღიარებენ, თუ თავის თანამშრომლებს აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ იძულებული ხდებიან განახორციელოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია არა მარტო საერთო სამართლის ქვეყნებში არამედ ასევე კონტინენტურ სამართლის სისტემის ქვეყნებშიც, მაგალითად საფრანგეთში ჯერკიდევ 1870 წელს „ორდონანსების“ კანონები ითვა-

ლისიწებდა იურიდიული პირებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლი ითვალისწინებს იურიდიული პირების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობას, ამასთანავე იურიდიული პირების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს დასჯას ფიზკური პირებისა, რომლებმაც ჩაიდინეს იგივე დანაშაული, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 2005 წლის 31 დეკემბრის კანონით იურიდიულ პირთა დანაშაულის შემადგენლობის წრე უფრო მეტად გაფართოვდა.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც ზოგად, ასევე კერძო ნაწილში, დეტალურად არის რეგლამენტირებული იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, საინტერესოა აღნიშნოს საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს იურიდიული პირის დასჯადობას, ასევე მისი რეციდივის შემთხვევაში, ანუ კანონმდებელი უშვებს იურიდიული პირის რეციდივს და ზოგადი ნაწილით განაზღვრულია რეციდივის დროს მისი დასჯადობის წესები, კერძოდ რეციდივის სამართლებრივ შედეგს ნარმოადგენს იურიდიული პირისათვის ჯარიმების გაორმაგება, გაცილებით დიდი სანქციების დადება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მისი პირველად ჩადენისას.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსით, არ არის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საგადასახადო დარღვევისათვის,

იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა შემოღებულია ასევე არაერთ სახელმწიფოში, განსაკუთრებულ ანგლო-ამერიკულ სისტემის ქვეყნებში, აღნიშნულ ქვეყნებში ნინა პლანზე იქნა დაყენებული პრაგმატული პრაგმატული მოსაზრება და შემოღებულია კორპორაციათა სისხლისამართლებრივი დასჯადობა, უნდა ითქვას, რომ კორპორაციათა სიმრავლე მათი სულ უფრო მზარდი ზეგავლენა ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მათ მიერ დიდი ეკოლოგიური და სხვაგვარი კატასტროფის გამოწვევა იყო ნინაპირობა, რომელიც თავის თავზე ანგლოამერიკულ მართმისაჯულებას უბიძგა, იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება.

იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის უარყოფის სახელმ

წიფოთა რიცხვს მიეკუთვნება გერმანია, რომელსაც იურიდიული პირის სისხლისამართლებრივ დასჯადობასთან დაკავშირებით საერთო ქვეყნების განსხვავებული მიდგომა აქვს. გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმადაც იურიდიული პირი ბუნებრივი თვალსაზრისით არ არის ქმედუნარისი და არ არის შესაძლებელი მასზე სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება. ასეთ დასჯადობას მიიჩნევენ, ასევე ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან შეუსაბამოს, მიუხედავად ამისა ამ შეხედულებას გამოუჩნდენენ მოწინააღმდეგები, რომლებიც საჭიროდ მიიჩნევენ ასეთი პასუხისმგებლობის შემოღების, ასეთ დასჯადობის საფუძვლად, დღეისთვის ისევ და ისევ რჩება, მხოლოდ კორპორაციის ფარგლებში ცალკეული ინდივიდის ქმედება.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში, იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ფორმალურად არის რეგლამენტირებული (14-ე და 75-ე მუხლები), ხოლო კერძო ნაწილის 265-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალსინიშნებს იურიდიული პირის მიერ თაღლითური გზით კრედიტის მიღებას, აქვე მითითებულია, რომ დაისჯება ის, ვინც აღნიშნული ქმედება პირადად განახორციელა, მაგრამ არაფერია ნათქვამი თვითონ ამ კომპანიაზე, რომლის ინტერესებისათვის მან ეს ქმედება განახორციელა. ამდენად აღნიშნულ მუხლში იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ფაქტიურად არაპირდაპირ არის მოცემული, შემოიფარგლება მხოლოდ იმ პირის დასჯით, რომელიც მისი ინტერესებით მოქმედებდა.

სისხლის სამართლის კოდექსის მეთოთხმეტე მუხლი ეხება სუბსიდიურ პასუხისმგებლობას, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, თუ დანაშაული ნარმომადგენლის მეშვეობით ჩაიდინა იურიდიულმა პირმა, მაშინ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ასევე დაეკისრება იურიდიულ პირსაც (სავაჭრო ამხანაგობასაც) და მის ნარმომადგენელსაც, ანუ სახეზეა ასევე ფიზიკური პასუხისმგებლობაც. მეორე აბზაცი შეიცავს ანალოგიურ ფორმულირებას, იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც სანარმოს მფლობელისაგან ან უფლებამოსილი პირისაგან მიიღო ნაწილობრივი, ან სრული მართვის დავალებარომელიც შედის სანარმოს მფლობელის კომპეტენციაში. მესამე ნაწილის მიხედვით, ასეთი ქმედების ჩამდენ პირს,

ეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ პირდაპირ არ არის მითითებული თუკი ასეთ შემთხვევაში იურიდიული პირიც დაისჯება ამ ქმედებისათვის.

არიან ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც დაუშვებლად თვლიან იურიდიული პირების სისხლისამართლის პასუხისმგებლობას. მაგალითად იაპონიის იაპონიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა საერთოდ არ აღიარებს იურიდიულ პირს, როგორც დანაშაულის სუბიექტს, რაც შეეხება ბულგარეთის უნგრეთის და ხორვატიის კანონმდებლობას, პირადი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, დანაშაულის სუბიექტთან ცნობილი არიან მხოლოდ ფიზიკური პირები, ამასთან გამომრიცხველია იურიდიული პირებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იურიდიული პირის როგორც სისხლისამართლებრივი დანაშაულის სუბიექტის ცნობის პრობლემა მრავალ ქვეყანაში რჩება სადავოდ და აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს დისკუსიები, საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალი მეცნიერ-იურისტი იხრება იმისაკენ, რომ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი ქმედებისათვის შეიძლება დაეკისროთ არა მარტო შერაცხად ფიზიკურ პირს - ადამიანს, არამედ უსულო მატერიასაც, რომელსაც წარმოადგენს იურიდიული პირი.

საინტერესოა ისიც, რომ ევროკავშირი ამ თემასთან დაკავშირებით თავშეკავებას იჩენს, არ ავალდებულებს მის წევრ ქვეყნებს, აღიარონ იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა. ევროგაერთიანების სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „Vanderverne“ იურიდიული პირების დასკადობის საყოველთაო ვალდებულება უარყო.

როგორც ჩანს ქართველმა კანონმდებელმა გაითვალისწინა უცხოეთის ქვეყნების გამოცილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ქართული სისხლისამართლის კანონმდებლობაში შემოიტანა სიახლე, რომელიც იურიდიული პირის დანაშაულის სუბიექტად ცნობის საკითხს ეხება. ბუნებრივია ისიც, რომ აუცილებელი გახდა იურიდიული პირისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თავისებურების პროცედურული საკითხებიც ასახულიყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

იურიდიული პირის განმარტებისას, მოქმედი სისხლისამართლის კანონმდებლობიდან

გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ ის იურიდიული პირები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სათანადო ორგანოებში და წარმოადგენენ კომერციული ან არაკომერციული იურიდიულ პირებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1071 მუხლის თანახმად იურიდიულ პირს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ.

პასუხისმგებელ პირად ითვლება იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ოგანოს წევრი.

სისხლის სამართლის კოდექსის მეოთხე ნაწილის მიხედვით იურიდიულ პირს დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი პირი.

იურიდიულ პირს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში თუ ზედამხედველობისა და კონტროლის არაჯეროვნად განხორციელების გამო შესაძლებელი გახდა იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის მიერ დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ.

ფიზიკური პირის ქმედების მიმართ ბრალის ან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, იურიდიული პირი თავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსში შესული ნოვაციითქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა კიდევ უფრო დაუახლოვდა საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებს.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იურიდიული პირების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დეფინიცია და კოდექსში მითითებული დანაშაულებები, რომლებზედაც დაწესებულია იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და სასჯელის სახეები სავსებით აკმაყოფილებსევროკავშირის სტანდარტებს.

ამასთანავე ბრალი, ანუ პირის ინდივიდუალური სამართლებრივი გაკიცხვა, რასაც მოსა-

მართლე თავის განაჩენში ადგენს, იურიდიული პირის საქციელი შეიძლება სოციალურ-ეთნიკურად ნეგატიურად შეფასდეს, კანონმდებლების მიერ შემოღებული იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, ამ ნეგატიურ შეფასებას გამოხატავს და დასაბუთებისათვის არაფერში არ სჭირდება, - ინდივიდუალური სამართლებრივი გაკიცხვა.

როდესაც, ზოგად ასპექტში უკვე განვიხილეთ იურიდიული პირის სისხლისამარტლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, უფრო ადვილი გასაგები ხდება გამოვთქვათ ჩვენებული ხედვა მის ცალკეულ პრობლემატურ საკითხებზე, უპირველეს ყოვლისა ალბათ სისხლის სამართის კანონმდებლობაში იურიდიულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულებები არ შეიძლება ამომწურავად მივჩინოთ, რადგან როგორც სჩანს, ჩვენი აზრით კანონმდებლის თვალთახედვის არედან გამორჩა სოციალურად ისეთი საშიში დანაშაული, როგორიცაა გადასახადისაგან თავის არიდება.

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა საგადასახადო დარღვევისათვის შემოღებულ იქნა 1994 წლიდან. სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა 160-ემუხლი (მოგების (შემოსავლის) ან გადასახადი თდასაპეგრი სხვა ობიექტის დამალვა (შემცირება), და 160 მუხლი (სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მოთხოვნების შეუსრულებლობა გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით). ამ მუხლებს 1994 წლიდან დაემატა სამი მუხლი: 173-ე (ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასალება ან გამოყენება), 1731-ე (ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დამზადება, გასალება ან გამოყენება) და 1732-ე (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, რეალიზაცია, შენახვა და ტრანსპორტირება) მუხლები.

2000 წლის პირველ ივნისს ძალაში შესულ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის ფორმულირებულია ორ მუხლები: მე-200 მუხლში (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა), რომელიც მოთავსებულია ოცდამეექსე თავში - დანაშაული სამენარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და 218-ემუხლში (გადასახადისათვის თავის არიდება), რომელიც მოთავსებულია ოცდამერ-

ვე თავში - დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლი გულიხსმობს გადასახადისათვის თავის არიდებას, კერძოდ დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავისარიდება - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი: არაერთგზის; განსაკუთრებით დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან სამ წლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის განჩინებაში ბს-210-200 (კ-06), განმარტებულია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის (გადასახადისათვის თავის არიდება) ერთერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს განზრახის არსებობა. ამის გამო გადასახადებისათვის თავის არიდება ყოველთვის არ იძლევა აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობას. არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუკი პირი განზრახ შეგნებულად არიდებს თავს საგადასახადო ვალდებულებას შემოსავლის (მოგების) დამალვის ან შემცირების გზით.

დანაშაულის ობიექტი არის სახელმწიფოს საფინანსო ინტერესები, საგადასახადო რეგულირების სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები. გადასახადისათვის თავის არიდების დროს სახეზე გვაქვს ბიუჯეტში და სახელმწიფო ფონდში გადასახადის გადაუხდელობა ან არასრულყოფილად გადახდა, რაც უარყოფითად მოქმედებს ბიუჯეტზე.

გადასახადისათვის თავის არიდება შეიძლება გამოვლინდეს როგორც მოქმედებაში (დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანა, საგადასახადო და საბუღალტრო დოკუმენტები შემოსავლებისა და გამოქვითვების შესახებ მონაცემთა გაყალბება და სხვა), ასევე უმოქმედობაში (საბუღალტრო და საგადასახადო დოკუმენტებში დაბეგვრის ობიექტის შეუტანლობა, საგადასახადო დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა). იურიდიული პრაქტიკის განზროგადების საფუძველზე დადგენილია ის ხერხები და საშუალებები, რომელთაც გადასახადებისათვის თავის ამრიდებელნი თავიანთ საქმიანობაში იყენებენ, თუმცა მათ ქმე-

დების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დიდი ოდენობის რამოდენიმე განსაზღვრებას გვაძლევს, განსაზღვრებები მოცემულია თავების და ზოგჯერ კონკრეტულად მუხლობრივ დონეზეც, მაგალითად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დროს, ოცდამეხუთე თავში მოცემულია დათქმა, რომ კოდექსის ამ თავში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ლირებულება 10 000 ლარის ზევით.

კონკრეტული 218-ე მუხლი მუხლი თავად განსაზღვრავს თუ რას თვლის თავის შემადგენლობაში დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობად, აღნიშნულმა განსაზღვრებამ რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება, 2004 წლის 29 დეკემბრის ცვლილების შესაბამისად ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის დიდ ოდენობად ითვლებოდა საგადასახადო ორგანოში აღრიცხვაზე აყვანის შესახებ განცხადების წარდგენისათვის დადგენილი ვადის ამონურვიდან 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, თუ დამალული გადასახადი აღემატებოდა გადასახდელი გადასახადის 25 პროცენტს და 100000 ლარს, ხოლო ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის განსაკუთრებით დიდ ოდენობად-თუ დამალული გადასახდელი გადასახადი აღემატებოდა გადასახდელი გადასახადის 30 პროცენტს და 120000 ლარს. 2005 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მუხლის ამ ნაწილმა შემდეგი სახე მიიღო; ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლებოდა, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატებოდა ოცდახუთი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატებოდა სამოცდათხუთმეტათას ლარს, საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის ცვლილების მიხედვით კი, მუხლს მიეცა დღევანდელი რედაქცია და შენიშვნის სახით მიგვითოთებს, რომ ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება ორმოცდათოათასლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატება ასიათას ლარს.

ვინაიდან საუბარია გადასახადისაგან თავის არიდების კუთხით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, აუცილებელია განვიხილოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსიც, რომლის 275-ე მუხლის მეოთხე ნაწილი 2011 წლის 27 დეკემბერის ცვლილებამდე მიუთი-

თებდა, რომ პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 25 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლებოდა გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად და იწვევდა პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო 2011 წლის 27 დეკემბრის ცვლილებით კი მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით; პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 50000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

შესაბამისად 50 000 ლარის დაფიქსირება როგორც გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდების შემადგენელი ოდენობა, განხორციელდა ორივე კანონში 2011 წლის 27 დეკემბრის ცვლილებებით, რის შედეგადაც მოხდა კანონმდებლობის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სრული თანხვედრა აღნიშნულ საკითხში.

საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მიერ გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოხატება დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდებაში, 218-ე მუხლში სახეზე უმეტედობის დელიქტი, აქ შეიძლება სახეზე გვქონდეს როგორც წმინდა უმოქმედობა, ისევე უმოქმედობა მოქმედებით, დანაშაული განზრახია, ესეიგი დამნაშავე შეგნებულად არიდებს თავს გადასახადის გადახდას, როთაც ზიანს აყენებს საქართველოს საფინანსო სისტემას.

მაგრამ დასადგენია და დღემდე ბუნდოვანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში თუ რატომ ითლება დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არსებობისას მხოლოდ ფიზიკური პირი. ქვემოთ მოცემულ მსჯელობაში რეალურად დავინახავთ თუ ვინ არის დანაშაულის ჩამდენი საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არსებობისას.

დანაშაულის ჩამდენი ქმედების შემადგენლობიდან გამომდინარე უნდა იყვეს გადასახადის გადამხდელი, მაგრამ ვინ არის გადასახადის გადამხდელი?

აღნიშნული შეკითხვაზე პასუხს თავის თავში გვაძლევს საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომლის მეოთხე მუხლი მიგვითოთებს,

რომ გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს ამ კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება. შესაბამისად ვინაიდან დადგენილი არის თუ ვინ არის გადასახადის გადამხდელი,

ყურადღება მივაქციოთ სამართლებრივ ტერმინს „პირი“, საგადასახადო კოდექსი ტერმინს „პირი“ თავის თავში განმარტავს მერვე მუხლის მეთვრამეტე ნაწილით და იძლევა დათქმას, რომ აღნიშნული კოდექსის მიხედვით „პირი“ არის – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია- საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი განმარტავს, რომ იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩევედ და მოპასუხედ, იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მენარმეობას. იურიდიული პირი, რომელის მიზანია სამენარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განმარტავს, რომ საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები, კონფინანსურული კორპორაციები, აღნიშნული ქონების მიზნის მიხედვით პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 50 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად, აღნიშნული კი ნიშანავს, რომ ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად), საწარმოს ან ორგანიზაციის (საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად) მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 50 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად. აღნიშნული ქმედება კი როგორც საგადასახადო კოდექსი გვითითებს იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

ტებით. საწარმოს არ მიეკუთვნება ინდივიდუალური მენარმე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განმარტავს, რომ ორგანიზაციად ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები), დაწესებულებები, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ან შექმნილი არიან და მოქმედებები უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები, რომელთა მეშვეობითაც ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებენ საქმიანობას (წესუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით), ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კორპორაციები, დაწესებულებები, საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები – საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, უცხოური არასამენარმეო ორგანიზაციები.

შესაბამისად ვინაიდან კველა მოცემულობა უკვე სახეზე გვაქვს, ცოტა უფრო დეტალურად განვავრცოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 50 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად, აღნიშნული კი ნიშანავს, რომ ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად), საწარმოს ან ორგანიზაციის (საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად) მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 50 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად. აღნიშნული ქმედება კი როგორც საგადასახადო კოდექსი გვითითებს იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

ეხლა უშუალოდ გადავიდეთ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განხილვაში, სადაც განვიხილოთ იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლო-

ბის საკითხები და დავინახავთ, რომ ადგილი გვაქვს გარკვეულ წინააღმდეგობებთან საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსს შორის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლი შემდეგია; სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესეიგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1071-ე მუხლის მიხედვით; იურიდიულ პირზე ვრცელდება ამ კოდექსით დადგენილი ნორმები. ამ კოდექსის მიზნებისათვის, იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო (კომერციულ) ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (მის უფლებამონაცვლებს). იურიდიულ პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებელი პირი არის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, ნარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურე, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი. იურიდიულ პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი. იურიდიულ პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებელი პირის მიერ ზედამხედველობისა და კონტროლის არაჯეროვნად განხორციელების გამო შესაძლებელი გახდა იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის მიერ დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ. პასუხისმგებელი პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ წარმოადგენს იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუ-

ხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს იმავე დანაშაულისათვის ფიზიკური პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობას. შისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს დანაშაულის შედეგად მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, ასევე მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენებისაგან. ფიზიკური პირის ქმედების მიმართ ბრალის ან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხელი გარემოებების დადგენის შემთხვევაში იურიდიული პირი თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლების და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ნათელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირი უნდა იყვეს ფიზიკურიპირი და იურიდიულიპირი.

მაგრამ დღევანდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ გვაძლევს შესაძლებლობას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დადგეს იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1072 მუხლი გვაძლევს დათქმას, რომ იურიდიულ პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით.

რას ნიშნავს თუ ეს განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამაზე პასუხი ნათელია, თავად მუხლში უნდა იყვეს დათქმა იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაში შესაძლო მიცემის შესახებ, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის შენიშვნაში, 1421 მუხლის შენიშვნაში, 1431. მუხლის შენიშვნაში, 157 - ე მუხლის შენიშვნაში, 158 - ე მუხლის შენიშვნაში, 159 - ე მუხლის შენიშვნაში, 1641 მუხლის შენიშვნაში, 171ე მუხლის შენიშვნაში, 186ე მუხლის შენიშვნაში, 192ე მუხლის შენიშვნაში, 194ე მუხლის შენიშვნაში და ასე შემდეგ.

მსგავსი ხასიათის დათქმას კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხ-

ლი არ გვაძლევს, შესაბამისად არ გვაქვს საშუალება სსკ-ის 238-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა დავაკისროთ იურიდიულ პირს.

მიმართა, რომ სხვა დანაშაულებისაგან განსხვავებით სწორედ იურიდიული პირია ვალდებული (რათქმაუნდა სსკ-ის 218-ე მუხლის სუბიექტებთან ერთად) განუხრელად დაიცვას საფინანსო რეზიმი, კიდევ მეტი, თუკი იურიდიული პირი ფინანსურად აგებს პასუხს და მის მიმართ დაწესებულია სანქცია, - გადაიხადოს გადასახადი, საურავი, ჯარიმა, სრულიად გაუგებარია რატომ არუნდა იყოს ის საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი მაშინ, როდესაც ფაქტიურადაც და იურიდიულადაც აღნიშნული დანაშაული სწორედ იურიდიული პირის სასარგებლოდ არის ჩადენილი.

შესაბამისად აღნიშნული საკითხი რეალურ საკანონმდებლო ხარვეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ვინაიდან განხილულ იქნა ჩვენს მიერ, თუ ვინ არის გადასახადის გადამხდელი, შესაბამისად განხილულ უნდა იქნეს, თუ რა არის და რა სახის გადასახადები არსებობს საქართველოში, რაც ხელს შეგვიწყობს საკითხზე მსჯელობის გაგრძელებაში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი გვაძლევს მითითებას, გადასახადის ცნებისა და სახეების შესახებ, რომლის მიხედვითაც გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. გადასახადის სახეებია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი გადასახადია ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის ნარმამადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, იმპორ-

ტის გადასახადი, ხოლო ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონებისგადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს საშემოსავლო გადასახადის სუბიექტს – გადასახადის გადამხდელს, ანუ პირს რომელსაც ზოგადად ეკისრება საგადასახადო ვალდებულება კონკრეტულ დაბეგვრის ობიექტთან მიმართებით.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს მხოლოდიზიკური პირი. გადასახადის მიზნებისთვის ფიზიკური პირები იყოფა ორ კატეგორიად – რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირებად. არარეზიდენტი ფიზიკური პირი გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს მხოლოდ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლებთან მიმართებით".

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის გადამხდელს, რომელსაც წარმოადგენს საწარმო, რომელიც არ წარმოადგენს ფიზიკურ პირს. წარმონაქმნის საწარმოდ კვალიფიცირების მიზნით, არაა უცილებელი მას ჰქონდეს იურიდიული პირის სტატუსი. მოგების გადასახადის მიზნებისთვის საწარმოები იყოფა ორ კატეგორიად: რეზიდენტ და არარეზიდენტ საწარმოებად. უნდა ვივარაუდოთ, რომ რეზიდენტ საწარმოს წარმოადგენს საქართველოს საწარმო, ხოლო ყველა დანარჩენ საწარმოს კი – არარეზიდენტი საწარმო. ანუ, საქართველოს საწარმო და რეზიდენტი საწარმო, ისევე, როგორც უცხოური საწარმო და არარეზიდენტი საწარმო, ურთიერთშემცვლელი ცნებებია. არარეზიდენტი საწარმო გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს მხოლოდ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლებთან მიმართებით. მოგების გადასახადის გადამხდელის ცნება ასევე მოიცავს პირებსაც, რომელისაც უშუალოდ არ აკისრიათ გადასახადის გადახდა. მაგალითად, როდესაც არარეზიდენტი პირის კუთვნილი გადასახადი გადაიხდება გადახდის წყაროსთან დაკავების წესით შემოსავლის გადამხდელის (საგადასახადო აგენტის) მიერ. ამ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს კვლავ ეს არარეზიდენტი პირი წარმოადგენს, ხოლო საგადასახადო აგენტიკი – არა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გადამხდელს, კერძოდ აღნიშნული გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგის გადამხდელად, პირი, რომელიც ვალდებუ-

ლია გატარდეს რეგისტრაციაში დღვ-ის გა-დამხდელად, პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდე-ბულების გარეშე, არარეზიდენტი (გარდა სა-ქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ენეგა მომსახურებას საქართველოში დღვ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და სა-ქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყო-ფი არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე დაექვემ-დებარება უკუდაბეგვრას, პირი, რომელიც სა-ხელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას მხოლოდ ამ ოპერაციაზე დაექვემ-დებარება უკუდაბეგვრას, რეგისტრაციის ვალ-დებულების გარეშე, პირი, რომლის საქონლის რეალიზაციაც ხდება საგადასახადო დავალია-ნების გადახდევინების უზრუნველყოფის ღო-ნისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალ-დებულების (გარდა სისხლისსამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქ-ციებისა) გადახდევინების მიზნით, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულე-ბის გარეშე, პირი, რომლის სამეურვეო ქონების რეალიზაციაც ხდება „ვადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კა-ნონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპე-რაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გა-რეშე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მი-ხედვით, „აქციზის გადამხდელია პირი, რომე-ლიც ან საქართველოში ანარმოებს აქციზურ საქონელს, ან ახორციელებს მის ექსპორტს ან იმპორტს. გადამხდელთა კატეგორიაში ხვდება ისეთი პირიც, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებებს აწვდის 1-ლი ნანილის და ქვე-პუნქტში მითითებულ საქონელს ან ენევა მობი-ლურ საკომუნიკაციო მომსახურებას. ამას გარ-და, აქციზის გადამხდელია ასევე ის პირი, რო-მელიც მე-4 ნანილით განსაზღვრულ შემთხ-ვევებში მოიპოვებს აქციზურ საქონელზე სა-კუთრების უფლებას.“

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, იმპორტის გადასახადის გადამხდე-ლია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო სა-ზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მი-ხედვით, ქონების გადასახადის გადამხდელია, რეზიდენტი სანარმო/ორგანიზაცია – მის ბა-ლანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქ-ტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე, არარეზი-დენტი სანარმო – საქართველოს ტერიტორია-ზე არსებულ, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ქონებაზე (მათ შორის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ, სა-ქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონება-ზე), ფიზიკური პირი - საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, შენობა-ნაგებობაზე ან მათ ნაწილზე), იახტებზე (კატარდებზე), შვეულმფ-რენებზე, თვითმფრინავებზე, არარეზიდენტი-საგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე, ეკო-ნომიკური საქმიანობის განხორციელების შემ-თხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მო-წყობილობებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე. ამ მუხლის პირველი ნა-წილის მიზნებისათვის პირი ქონების გადასა-ხადის გადამხდელია მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პი-რის სახელზე რეგისტრირებულ ქონების გადა-სახადით დაბეგვრის ობიექტზე, გარდა იმ შემ-თხვევისა, როდესაც ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების სა-ფუძველზე.

გასათვალისწინებელია გარემოება, რომ ზე-მოალიშნული ყველა გადასახადის გადამხდე-ლი შესაძლოა იყოს მეწარმე იურიდიული პირი.

მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღე-ბული გარემოება, თუ კონკრეტულად რომელ იურიდიულ პირს უნდა დაეკისროს პასუხის-მგებლობა საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათ-ვის და რატომ. აღნიშნული საკითხის დასად-გენად, კიდევ ერთხელ მოვიყვან მოვიშველიებთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1071 მუხლს, რომლის თანახმად იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებ-ლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექ-სით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახე-ლით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ, შესაბამისად მუხლიდან გამომდინარეც

კი ნათელია, რომ ქმედების ჩამდენის ზუსტი განსაზღვრის მიზნიდან უნდა იქნეს დადგენილი თუ ვის რჩება მოგება გადასახადის დაფარვის შედეგად, ვისი ბიუჯეტი ან ჯიბე ივსება კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გზით და ვინ სარგელობს აღნიშნული დაფარული გადასახადით, ანუ როგორც 1071 ვის სასარგებლობადა აღნიშნული დანაშაული ჩადენილი.

ჩვენი მოსაზრებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი იურიდიული პირი თავისუფლად შესაძლებელია იყოს მენარმე სუბიექტი, ანუ სამენარმეო იურიდიული პირი, შემდეგ გარემოებათა გამო;

რეალურად ყოველი სუბიექტი მხოლოდ თავისი უფლებების მატარებელია – შესაბამისად, მენარმე სუბიექტის წარმოსახვა მესაკუთრის და არა საკუთრების ამპლუაში სავსებით გამართლებული იქნება. სახეზეა სუბიექტი, შესაბამისად, არის უფლებაც. დამფუძნებელ პირთა საკუთრებად არ მოიაზრება საწარმოს ქონება. კომპანიის ქონების შექმნა და მართვა არ გულისხმობს მის წევრზე საკუთრების უფლების წარმოშობას. საწარმოს საკუთრება ისევე დაცული, როგორც ფიზიკური პირის საკუთრება და თუ ამ ქონებას ერთ ჭრილში განვიხილავთ, შედეგად, მუდამ იგნორირებული იქნება საზოგადოების საკუთრება. პარტნიორის ინტერესი კი მოგების მიღებაა, სამენარმეო საქმიანობის რენტაბელურობის შენარჩუნება, საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღება, რაც, თავის მხრივ, მოგების, აქტივების მოზიდვის მიზანს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილეებისა, თუმცა ეს არ გამორიცხავს პარტნიორის მიერ წილის გასხვისების ან თუნდაც დივიდენდის მიღების უფლებას. სადაც გარემოების გადასაჭრელად ისევ და ისევ შესატანის შეტანის გარიგების ხასიათს უნდა მივმართოთ, კერძოდ, იგი გაიმიჯნება ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან და საზოგადოებას არანაირ საპასუხო მოქმედებას ან მოვალეობას აკისრებს (დივიდენდის უპირობოდ გაცემის მოვალეობასაც კი). არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება არსებობს საზოგადოებათა ქონებისა და პარტნიორთა საკუთრების გამიჯვნასთან დააკვშირებით.

საქართველოს კანონით მენარმეთა შესახებ, სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მარტ-

ლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, ხოლო მენარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მენარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი გვითითებს, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

ხოლო მოგება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა, განისაზღვრება შემდეგნაირად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – სრული პარტნიორები (კომპლექტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.

ინდივიდუალური მენარმე, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოშობა მხოლოდ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუ რეგისტრაციამდე მენარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება შესრულდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლება ძალაში რჩება მენარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც.

ინდივიდუალური მენარმე თავის სამენარმეო საქმიანობიდ ან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი და ყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. შააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს წესისმიერი ოდენობით, სსი-ის დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებული ააუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უმუალოდ. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი საქმეს უძლვებოდნენ ამ კანონისმე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მო-

თხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღაათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია.

კომპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე, კომპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

ზემოაღნიშნული დეტალური განმარტებების შესაძლებელია ითქვას, რომ მენარმე სუბიექტთა პერსონიფიცირებულობა კიდევ ერთხელ მეტყველებს მათ შესაძლებლობაზე, ალიქურონ ისეთი უფლებით, როგორცაა საკუთრების უფლება. სწორედ ეს განაპირობებს მენარმე სუბიექტისთვის ქონების მფლობელის სტატუსის მინიჭებას, მათი ფიქციად აღიარების მიუხედავად. ეს უკანასკნელი კი მიიღწევა ისეთი დოგმატური წანამდლვრების გაბათილებით, რომლის მიხედვით, მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს სამართლის სუბიექტი. ამაში ვლინდება მენარმე სუბიექტის უნიკალურობაც, რაც გამოიხატება აბსტრაქტული წარმონაქმნის მიერ ფიზიკურ პირთათვის მახასიათებელ უფლებათა (იგულისხმება არა ყველა) საკუთარ თავზე მორგების შესაძლებლობაში.

შესაბამისად, რაგდანაც მენარმე სუბიექტი არის მესაკუთრე და არა საკუთრება, ალიქურვილი არის საკუთრების უფლებით, გააჩნია ქონება და მოგება, მას თავისუფლად შეუძლია განზრას შეგნებულად აარიდოს თავი საგადასახადო ვალდებულებას შემოსავლის(მოგების) დამალვის ან შემცირების გზით, რის შედეგადაც სიკეთე, ანუ მოგება რაც მიღწეულ იქნება გადასახადის დამალვის გზით, რჩება იურიდული პირის საკუთრებაში, ამით ივსება თავად იურიდიული პირის ბიუჯეტი და არა კონკრეტული ფიზიკური პირის ჯიბე, ხოლო აღნიშნულის შემდგომ, კი იურიდიული პირის ხაზინა რჩება მოგებული. თუ როგორ მოხდება შემდგომ აღნიშნული საზინიდან ფულადი თანხის განაწილება და მისი გარკვეული მიზნებისათვის გამოყენება, ეს დამოკიდებულია მენარმე სუბიექტის მმართველობაზე, ფორმებზე და გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე.

შესაძლებელია აღნიშნული მსჯელობის გაცნობის დროს დაიბადოს მოსაზრება, რომ

კონკრეტულ შემთხვევაში მენარმე სუბიექტი არის დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, მივიჩნევ, რომ აღნიშნული არის მცდარი მსჯელობა, ვინაიდან საკითხი კონკრეტულ შემთხვევაში გვაქვს საპირისპიროდ, დანაშაულის ჩადენის იარაღად და საშუალებად, რომელიც გამოყენებული არის იურიდიული პირის მიერ გადასახადის დაფარვის შედეგად მიღებული თანხით მოგების მისაღებად, ამ შემთხვევაში არის ფიზიკური პირის გონიეროვი შესაძლებლობები, მისი თანამდებობა და რესურსი, ანუ ფიზიკური პირი ან ორი ან მეტი ფიზიკური პირი, იქნება ეს ბუღალტერი, დამფუძნებელი თუ სხვა. აქვე არუნდა დაგვავიწყდეს ზემოაღნიშნული და უკვე განხილული საკითხი მასზედ, რომ კანონი გვაძლევს ჩვენ საშუალებას რომ იურიდიულ პირთან ერთად პასუხისმგებლობა დავაკისროთ ფიზიკურ პირსაც.

ვინაიდან ვთავაზობთ დასაბუთებულ მოსაზრებას, იმისას რომ მენარმე იურიდიულ პირს დაეკისროს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ განისაზღვროს სასჯელიც, მითითებული დანაშაულის ჩადენისათვის.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტია.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სასჯელად გვთავაზობს ლიკვიდაციას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ჯარიმას, ქონების ჩამორთმევას.

მითითებული სასჯელებიდან ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

საქართველოს სსკ-ის მიხედვით, სასჯელის სახით ლიკვიდაციის დანიშვნისას სასამართლო (გარდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ნიშნავს ლიკვიდატორს (ლიკვიდატორებს), რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული პირის ლიკვიდაციას, იურიდიული პირის ლიკვიდაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯები გადახდება მსჯავრდებულ იურიდიულ პირს. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვებში კომერციული ბანკებისა და არასაბანკოს სადეპოზიტო დაწესებულებების ლიკვიდაციას, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). ლიკვიდაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა იურიდიული პირის შექმნის ძირითად მიზანს ან მისი საქმიანობის ძირითად ნაწილს ნარმოადგენს.

საქართველოს სსკ-ის მიხედვით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იურიდიული პირისათვის უგადოდ ან ერთიდან 10 წლამდე ვადით საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სახის აკრძალვას. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება გავრცელდეს საქმიანობაზე, რომლის განხორციელებისას ანრომლის განხორციელებასთან დაკავშირებით იქნა ჩადენილი დანაშაული.

იურიდიული პირისათვის ჯარიმის მინიმალური ოდენობა შეესაბამება ამ კოდექსის 42-ე მუხლითფიზიკური პირისათვის გათვალისწინებული ჯარიმის ორმოცდათმაგ ოდენობას. ფიზიკური პირისათვის კი 42-ე მუხლის მიხედვით, ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამწლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.

ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, დანაშაულით მიღებულისარგებლისა და იურიდიული პირის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლითა და სხვა გარემოებებით. თუ იურიდიული პირისათვის ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით. თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის შენიშვნაში ჯარიმა მითითებულია როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენებისას დამატებით სასჯელად ჯარიმა არგამოიყენება.

ხოლო, იურიდიული პირისათვის ქონების ჩამორთმევაზე ვრცელდება ამ კოდექსის 52-ე მუხლის მოთხოვნები, 52-ე მუხლი კი მიუთითებს, რომ ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნულინივთის ან/და დანაშაუ-

ლებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულისჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ, ამ კოდექსით გათვალისწინებულიყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ან/და იარაღი ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდანგამომდინარე ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებულინებისმიერი ფორმის შემოსავლების ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ინიშნება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

იმისათვის, რომ გამოვიტანოთ დასკვნა აღნიშნული სასჯელებიდან თუ რომელი უნდა გამოვიყენოთ კონკრეტული დანაშაულისათვის, მოკლედ მიმოვიზილოთ სასჯელის მიზნები.

საქართველოს სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა უარი თქვა სასჯელის მიზნად მსჯავრდებულის დასჯის მიჩნევაზე და სასჯელის ერთ-ერთ მიზნად სამართლიანობის აღდგენა დაადგინა. სამართლიანობის აღდგენა თავის თავში გულისხმობს დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდებას, რაც თავის მხრივ, საზოგადოებაში გაბატონებული მორალის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. შასჯელის შეფარდება არ შეიძლება ეფუძნობოდეს

სამართლიანობის აბსტრაქტულ იდეას და ტალიონის პრინციპის განხორციელებას. სამართლიანი განაჩენი უნდა იყოს დამნაშავის რაციონალური, მიზანშეწონილი დასჯა, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავებასთან წარმატებულ ბრძოლას, კანონების, ასევე, საერთო თანაცხოვრების წესების სათანადო დაცვას, მომავალში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

სასჯელის ზომის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის პერსონალურ ბრძალს, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ხარისხს, პირის გამოსწორების შესაძლებლობას და ამავე დროს, საზოგადოების სოციალური დაცვის აუცილებლობას. სასჯელის დანიშვნის სისწორე, უპირველესად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დანაშაულის კვალიფიკაციის სიზუსტით. თუმცა, სამართლიანი განაჩენის დასადგენად, დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაცია საკმარისი არ არის. აქ მოსამართლეს ევალება შედარებით განსაზღვრულ სანქციებსა და აღტერნატიულ სასჯელს შორის შეარჩიოს სწორედ კონკრეტული პირისათვის სანქციის ის სახე და ფარგლები, რაც მისი ღრმა რწმენითა და კანონზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

შესაბამისად მიზანსეწონილი იქნება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით გავალისწინებული დანაშაულის ჩამდენ მეწარმე იურიდიულ პირს, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ იქნება ჩადენილი დანაშაულის ადექვატურად, ხოლო დამატებითი სასჯელის სახედ ასევე მიზანშეწონილი იქნება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევა.

აღნიშნული მუხლისათვის, ყოვლად დაუშვებელია რომ იურიდიულ პირს განესაზღვროს ლიკვიდაცია და საქმიანობს უფლების ჩამორთმევა.

ჯარიმის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გათვალისწინებული იქნება რა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, იურიდიულ პირს დაეკისრება ადეკვატური ფულადი ჯარიმა ჩადენილი დანაშაულისათვის, რიგ შემთხვევაში ეს შესაძლოა იქნეს დამალული გადასახადის ოდენობათ.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებიდან გამომდინარე არ შეიძლება არ შევეხო კიდევ ერთ, არც თუ ნაკლებ მტკიცნეულ პრობლემატიკას, რომელიც ამასწინაათ გაიუღერა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, კერძოდ რამდენად სამართლიანიასისხლის სამართლის კოდექსით იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, - ყველა შემთხვევაში სასჯელის სახედ ითვალისწინებდეს ლიკვიდაციას და უმჯობესი ხომარ იქნებოდა თუკი სასამართლოს ორგანოები უფრო ფრთხილად და სკულპიოზურად გამოიყენებდნენ აღნიშნულ სანქციას, რადგანაც სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისას არ არის გამორიცხული იურიდიული პირის ხელმძღვანელმა მართლაც ჩაიდინა ისეთი ქმედება, რაც იურიდიული პირის პასუხისმგებლობას იწვევს, მაგრამ დამფუძნებელი რომელიც წარმოადგენს იურიდიული პირის დამფუძნებელს, კეთილსინდისიერია, დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე არც შეეძლო სცდონოდა ხელმძღვანელის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ და არც რაიმე მართლასაწინაარმდევნ ქმედება არ ჩაუდენია; ასეთი პირობების არსებობისას მართლაც რა შუაშია დამფუძნებელი, ხოლო იურიდიული პირის ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში, თუკი იურიდიულ პირს სასჯელის სახედ შეეფარდება ლიკვიდაცია, ბუნებრივია დამფუძნებელს წაერთმევა კანონით გათვალისწინებული სამენარმეო საქმიანობის განხორციელების საშუალება, რაც ასევე უდანაშაულო ადამიანთა სამსახურიდა გათავისუფლებას ნიშნავს, როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფესორი ო. გამყრელიძე ყოველივე ზემოთ თქმული „კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპის აღდგენაა, ეს იმ ადამიანებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაა, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია და პასუხს აგებს სხვისი დანაშაულის გამო. “ვეთანხმები იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ სასამართლო ორგანოების მიერ სასჯელის სახე, -ლიკვიდაცია იურიდიული პირისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს თუკი ისენი სისტემატიურად ენეოდნენ ადამიანთა ვაჭრობას, ნარკოდანაშაულს, იარაღის ვაჭრობას და ა.შ. როგორც ამას აშშ-ს კანონმდებლობა ითვალისწინებს.

ალბათ, უმჯობესია თუკი სისხლის სამართლის ცალკე მუხლით იქნება გათვალისწინებული თუ რომელ განსაკუთრებით მძიმე დანა-

შაულისათვის შეიძლება იურიდიულ პირს შეეფარდოს სასჯელის სახე, - ლიკვიდაცია.

ბოლოს, საკითხის დასმის სახით, ვფიქრობთ იურიდიულ პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ასევე, ეკოლოგიური დანაშაულის ჩადენისათვის, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ ქმედებებს, ევროკავშირის მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>
2. საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408>
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
5. საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება — ევროპული სასამართლოს ხედვა, ავტ, დავით ლომთაძე „ ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები „ სტატიათა კრებული 2010 ,
6. გამყრელიძე ო., სისხლის სმართლის პრობლემები ტომი მესამე გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ 49-50
7. ურნალი „მართმასჯულება და კანონი“ 4 (43), სასჯელისმიზნებიდა სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ავტ. მზია ლეკვეიშვილი, <http://library.court.ge>
8. მამნიაშვილი მ., გლოველი ც., იურიდიული პირის სასჯელის მიმართება სამენარმეო კანონმდებლობასთან, სტუ-ს ბიზნეს-ინიციატივის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. სტუ-ს გამ. თბილისი 2014 გვ. 77-78.
9. საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 25 ივლისის განჩინება, საქმე 1/14/335, ურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 4, 2005.http://www.library.court.ge/upload/J_SA_RCHEVI_N1-2_2012.pdf
10. ზოიძე ბ., მენარმეობის თავისუფლებისა და საკუთრების დაცვის კავშირ ურთიერთობა წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სა-

- მართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009; 128-138.
http://www.library.court.ge/upload/J_SARCHEVI_N1-2_2012.pdf
11. "the real property is held in the name of the partnership, not in the names of the individual partners", Bevans R.N., Business Organizations and Corporate Law, New York, 2007.
http://www.library.court.ge/upload/J_SARCHEVI_N1-2_2012.pdf
12. Schneeman A., The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., New York, 2009, 66.
http://www.library.court.ge/upload/J_SARCHEVI_N1-2_2012.pdf
13. ბ. ზონძე საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2005, 114-116 , ელ. მისამართი;
http://www.library.court.ge/upload/J_SARCHEVI_N1-2_2012.pdf
14. შესატანი - მენარმე სუბიექტის საკუთრების უფლების გარანტის კონტექსტში, ა. თოხაძე, სამართლის უურნალი 2012.
http://www.library.court.ge/upload/J_SARCHEVI_N1-2_2012.pdf
15. ლევან ნადარია, ზვიად როგავა, კახა რუხაძე, ბონდო ბოლქვაძე „საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი“ წიგნი პირველი, 2012 წელი.
- o. იმერლიშვილი, „საგადასახადო დანაშაულის გამოჩენის მეთოდიკა“, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შერჩეული დისერტაცია, სტუ 2014 გვ. 54
16. ა.ოხანაშვილი, იურიდიული პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის უურნალი“. 2009, 2,
- o. გაბისონია, იურიდიულ პირთა სისხლისსა-მართლებრივი პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები, უურნალი „ცხოვრება და კანონი“. 2007,2, გვ 12
17. მ. ტურავა, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძლვოება, გამოცემლობა „მერიდიანი“.
18. ბ. ჯიშკარიანი, ევროპული სისხლის სამართალი, გამ. „იურისტების სამყარო“ 2003, გვ.114
19. სვანიძე კ., სისხლისსამართლებრივი პასუ-ხისმგებლობა გადასახადისათვის თავის არიდებისას.